

შპს მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23(133) 2016 წ. 1-15 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესიის



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 9 დეკემბრის რიგგარეშე სესიისამაშობის **ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურჯული** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის I ოთხ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თანადგომის“ -ს შექმნის შესახებ“, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „გარეჯელები“-ს შექმნის შესახებ“, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელები“-ს სახელწოდების შეცვლის შესახებ“, „ოთარ ურდულაშვილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა **საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მუხომბიძე**.

საკრებულომ ცნობად მიიღო საკრებულოს ფრაქციის „თანადგომის“ დაფუძნების შესახებ, რომლის **თავმჯდომარე** არჩეულ იქნა **ვეფხია ჩირქვაძე** (პრეზიდიუმი), ფრაქციის შემადგენლობაში შევიდნენ: ვანო ქარუმიძე, კახა ნფარიძე.

ასევე ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს ფრაქცია „გარეჯელები“ დაფუძნების შესახებ, რომლის **თავმჯდომარე** არჩეულ იქნა **კონსტანტინე ლომიანი**, წევრები: ჭაბუკა ჭანტურია და ფადირხან ხეიხაბაძე.

საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელები“ შეეცვალა სახელწოდება და დარეგისტრირდა „დემოკრატიული საზოგადოება“.

საკრებულომ ცნობად მიიღო **ოთარ ურდულაშვილის** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად მიღების შესახებ (ზურაბ ჭიაბერაშვილის საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის გამო).

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016

წლის წლიური ანგარიშის“ შესახებ მოხსენება გააკეთა **ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურჯული**. როგორც მან აღნიშნა: – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) ევროპული ქარტიის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად პირადობის, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 36 წევრისგან, რომელთაგან 15 წევრი არჩეულია პროპორციული, ხოლო 21 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები. საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება ორი, საორგანიზაციო და მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილებისგან, სადაც მუშაობს 18 საშტატო ნუსხით განსაზღვრული პერსონალი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, გამგეობის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 კომისიის მეშვეობით.

1. იურიდიულ საკითხთა კომისია-თავმჯდომარე ალექსანდრე მეზერიშვილი.
2. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია-თავმჯდომარე ელდარ მეფარიძე.
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-თავმჯდომარე ნიკოლოზ ვაჭრიშვილი.
4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-თავმჯდომარე მეველუდ დუნიძე.
5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია-თავმჯდომარე

გაბრძელება მე-2 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



13 დეკემბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს **ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორბი ბიორიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 9-10 დეკემბერს ფერმერთათვის ძლიერი ქარისაგან მიყენებული ზარალის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ძლიერი ქარებისგან განსაკუთრებით დაზიანდა ე.წ. „გველისწყაროში“ არსებული 300 ჰა სახნავ-სათესი მიწა, რომელზედაც საშემოდგომო ნათესებია. ამასთან, აქვე აღნიშნა, რომ ასეთ ნათესებში განსაკუთრებით მომრავლებულია მღრღნელები – თავგები.

როგორც გაირკვა, მცირემიწიანი ფერმერთა დასახმარებლად სახელმწიფო პროგრამა ჯერჯერობით შეჩერებულია – საგაზაფხულოდ კვლავ დამუშავდება თუ არა მცირემიწიანი ფერმერთა ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო ბარათებით ჯერ უცნობია. ბ-ნი ნიკო ასევე შეხვო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სწრაფი ტემპით მიმდინარე თხილისა და ნუშის კულტურების გაშენების კამპანიას.

თათბირზე სეროზული მსჯელობა მოჰყვა მიწის დარეგისტრირებისა და საკუთრებაში არსებული მიწების დამუშავების საკითხს.

გამგებლის წარმომადგენლებმა თემებსა და სოფლებში გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია სოფლებში ელექტროგადამცემი სადენების საყრდენი ბოძების ამორტიზებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

თათბირზე მიმოიხილეს სოფლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა. თათბირს ესწრებოდა **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბიორბი რევაზიშვილი**.

გამოიწერეთ გაზეთი

„გარეჯოს მაცნე“

საბაზოცხარა

1 წლით – 12 ლარი

6 თვით – 6 ლარი

1 თვით – 1 ლარი

მუნიციპალური კვირფი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



ბაბრქეძე

ივანე ბეჟიაშვილი.

დღეის მდგომარეობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 9 ფრაქცია:

- 1. ფრაქცია-„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-თავმჯდომარე ივანე ქვიციანი.
- 2. ფრაქცია-„საგარეჯოს ოცნება“-თავმჯდომარე გიორგი ჭინჭარაძე.
- 3. ფრაქცია-„დემოკრატი“-თავმჯდომარე გონა ჩერქეზიშვილი.
- 4. ფრაქცია-„ქართული ოცნება-კონსერვატორი“-თავმჯდომარე ალექსი იოსელიანი.
- 5. ფრაქცია-„დემოკრატიული საზოგადოება“-თავმჯდომარე კახა ადუაშვილი.
- 6. ფრაქცია-„ქართული ოცნება-მრევლები“ გადაარჩენს საქართველოს“- თავმჯდომარე თამარ სუხიაშვილი.
- 7. ფრაქცია-„გარეჯელები“-თავმჯდომარე კონსტანტინე დოღელიანი.
- 8. ფრაქცია-„ნაციონალი“-თავმჯდომარე ნიკოლოზ ნაცვლიშვილი.
- 9. ფრაქცია-„თანადგომა“-თავმჯდომარე ვეფხია ჩერქეზიშვილი.

2016 წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **საკრებულომ ცნობა მიიღო:**

2016 წლის აპრილიდან საკრებულოს წევრის ზურაბ ქურთიშვილის ფრაქცია „ნაციონალის“ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

2016 წლის აპრილიდან საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელების“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

2016 წლის ნოემბრიდან საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.

2016 წლის ნოემბრიდან ფრაქცია „დემოკრატიული ოცნება“ დაშლის შესახებ.

2016 წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ბიუროს 20 სხდომა.

შედგენილია საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომების დღის წესრიგის პროექტები.

დამტკიცებულია საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმები.

ჩატარებულია საკრებულოს 20 სხდომა, აქედან 10 მორიგი და 10 რიგგარეშე. სათანადოდ შედგენილია საკრებულოს სხდომის ოქმები.

საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 19 დადგენილება და 103 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 101 ბრძანება.

2016 წელს ჩატარდა საკრებულოს

კომისიის შემდეგი სხდომები:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია-ჩატარებულია 15 სხდომა, განხილულია 22 საკითხი.

2. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის,ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია- ჩატარებულია 15 სხდომა, განხილულია 120 საკითხი.

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-ჩატარებულია 15 სხდომა,განხილულია 20 საკითხი.

4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია- ჩატარებულია 20 სხდომა, განხილულია 220 საკითხი.

5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია-ჩატარებულია 14 სხდომა, განხილულია 20 საკითხი.

საკრებულოს კომისიების მიერ განხილულია გამგებლის მიერ ინიცირებული სამართლებრივი აქტების პროექტები შესაბამისი პროფილის მიხედვით.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის,ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ პერიოდულად, შეძლებისდაგვარად ხორციელდება ზედამხედველობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ფრაქციები სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ საკრებულოში შემოსულ საკითხებს.

2015 წლის 25 დეკემბერს საკრებულომ დაამტკიცა 2016 წლის ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობს საკრებულო. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი 3 270 500 ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3 060 500 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210 ათასი ლარი, გადასახადების მოცულობა განისაზღვრა 7 500 ათასი ლარით.

2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილება შევიდა 7-ჯერ.

მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების მოწოდება-რეაბილიტაცია, გარე განათება, კეთილმოწყობის ღონისძიებები, სკოლამდელი განათლება, სპორტული ღონისძიებები, კულტურის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა და სხვა ღონისძიებები სოციალური დაცვის

სფეროში.

ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილებით შემოსულობები შეადგენს 11 090 556 ლარს,მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერია 6 847 465 ლარი და გადასახადებები შეადგენს 13 225 335 ლარს, რომელიც ძირითადად ნაწილდება; შრომის ანახლებულობაზე 675,7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1460,7 ათასი ლარი, სკოლამდელი განათლება 1918355 ლარი, კულტურაზე 1209605 ლარი, სპორტზე 526 901 ლარი, მოსახლეობის-ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 888174 ლარი და ა.შ.

2016 წელს გამგებლის წარდგინებით საკრებულომ მიიღო შემდეგი დადგენილებები: 1. „2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის 47 დადგენილებაში 6-ჯერ შესული ცვლილების შესახებ. 2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასისა და წლიური საიჯარო ქირის დადგენისა და დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილების შესახებ. 3. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ. 4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ. 5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცებისა და მიღებულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 6. მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციისა და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. 7. მოსახლეობის სოციალური დახმარების 2016 წლის პროგრამისა და მის ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესახებ.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები-დადგენილებები გადაგზავნილია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოსაქვეყნებლად.

2015 წლის 25 დეკემბერს საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლის განსახორციელებელი პროექტები, რომელსაც ახორციელებს რეგიონული განვითარების ფონდი.

1. ქსაგარეჯოში დოდაშვილის,ქეთევან წამებულის,წერეთლის, ქურდიანის, ჯანგულაშვილის ქუჩებზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა. (დასრულებულია)

2. ქ. საგარეჯოს 3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. (დასრულებულია)

4. სოფლების დუზაგარამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა.(დასრულებულია)

4. ქსაგარეჯოში ერეკლე მეორეს და თამარ მეფის ქუჩების ამოასფალტება და ტროტუარების მოწყობა (დასრულებულია)

5. სოფელ უდაბნოს წყლის რეაბილიტაცია.(დასრულებულია)

6. სოფელ ბადიაურში საბავშვო ბაღის შეკეთება.(დასრულებულია)

7. სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბო რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა.(დასრულებულია)

8. სოფელ შიბლიანის გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა.(დასრულებულია)

9. სოფელ ხაშში სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.(დასრულებულია)

საკრებულომ განკარგულებით **დაამტკიცა** შემდეგი **სოფლის პროგრამები:**

1. სოფელი გომბორი- სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება, სასაფლაოს შემოღობვა, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია.

2. სოფელი უჯარმა-გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის სათავეს და სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

3. სოფელი კოჭბაანი-სასაფლაოს შემოღობვა, სასმელი წყლის სისტემის, სათავეს და ქსელის რეაბილიტაცია.

4. სოფელი ხაშში-შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა.

5. სოფელი პატარქული-სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია.

6. სოფელი ნინოწმინდა-სკვერის მოწყობა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.

7. სოფელი წყაროსთავი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა.

8. სოფელი გორგიწმინდა-ჭაბურღლის მოწყობა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა და სასმელი წყლის ცენტრალური მილის შეკვლა.

9. სოფელი თოხლიაური-სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა.

10. სოფელი სათაფლე-საქონლის დასარწყველების მოწყობა.

11. სოფელი მანავი-სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელის მოწყობა,გარე განათებისა და 2 მოსაცდელის მოწყობა.

12. სოფელი დიდი ჩაილური-გარე განათების მოწყობა და საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.

13. სოფელი პატარა ჩაილური-შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შემოღობვა.

14. სოფელი კაკაბეთი-სასმელ წყალზე ონკანების დამონტაჟება და გარე განათების მოწყობა.

15. სოფელი ვერხვიანი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

16. სოფელი ყანდაურა-სტადიონის რეაბილიტაცია,სოფლის სკვერში განათების მოწყობა,საბავშვო ბაღისათვის ატრიაქციონების შექმნა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია.

17. სოფელი ბადიაური-ე.წ „სოკარის“ წყლის რეაბილიტაცია.

18. სოფელი მზისგული-სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია.

19. სოფელი შიბლიანი-გარე განათების მოწყობა.

20. სოფელი იორმუღანლო-გარე განათებისა და მოსაცდელის მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა და არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა.

21. სოფელი ქეშალო-სარწყავი არხის გაწმენდა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია,2 მოსაცდელის მოწყობა.

22. სოფელი დუზაგარამა-სარწყავი და სანიაღვრე არხებისა და შიდა სასოფლო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია.

23. სოფელი ლამბალო-ე.წ „სოკარის“ წყლის რეაბილიტაცია,სანიაღვრე და სარწყავი არხისა და შიდა გზების რეაბილიტაცია,სასმელი წყლის სისტემების მოწყობა.

24. სოფელი თულარი-საგარეულებში სადრენაჟე სისტემის მოწყობა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობე შენობის აშენება.

25. სოფელი უდაბნო-ძველი ბაღის შენობაში „კულტურული ცენტრის“

დასასრული მმ-3 გვერდზე

მუნიციპალური ბიუჯეტი

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

დასასრული

მოწვობა. 2016 წელს საკრებულომ ბანკარგულეობით დაამტკიცა:

1. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2584 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ნაწილის-224.53 კვ.მ ფართის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
3. საგარეოს მუნიციპალიტეტის 2016-17 წლის რეგიონალური ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტის სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.
4. მუნიციპალიტეტში შემავალ ტერიტორიულ ორგანოებზე სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი თანხების განაწილების შესახებ.
5. მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ.
6. მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ.
7. მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის შ.პ.ს „საგარეოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
8. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საგარეოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ კაკაბეთის მიწებზე მდებარე 1446453 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ნაწილის-1847 კვ.მ და 3600 კვ.მ მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
9. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კაკაბეთის ტერიტორიაზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული ერთი და მეორე სართულზე განთავსებული 4 ოთახი 2016 წლის 1 ოქტომბრიდან, ერთი წლით, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ს.ს.ი.პ კაკაბეთის საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ. 10. მუნიციპალიტეტის გამგებლის საკუთრებაში არსებული სპეციალური დანიშნულების ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების, საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შ.პ.ს „საგარეოს“-თვის დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ. 11. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ საგარეოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 04 აგვისტოს №61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. 12. საგარეოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოხმენის შესახებ. 13. საგარეოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოხმენის შესახებ.

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის იანვრიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ შემოსულია 15 მოთხოვნა, მათ შორის: 2-მოქალაქის მიერ. 6-არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-დან, 4-საინფორმაციო ცენტრების ქსელიდან, 2-ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტიდან, 1-მმართველობის სისტემის განვითარების ცენტრიდან. საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, ასევე არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა. საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში



ბულოში საჯარო ინფორმაციის ხელმძღვანელის უზრუნველყოფაზე მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოკვეთებაზე პასუხისმგებელ პირად საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრა საკრებულოს აპარატის უფროსი. საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების მიერ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები. შემოსული წერილები და კორესპონდენციები აღრიცხულია სათანადო წესით და დროულად ჩაბარდა ადრესატებს, პასუხი გაეცა სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან შემოსულ ყველა წერილს, საპასუხო წერილები გაგზავნილია დროულად და შესაბამისი ვადების დაცვით. საინსტრუქციო და საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები ინახება ადრესატებთან, შესაბამისად რეაგირებულია ყველა განცხადება. საჯარო ინფორმაცია-ბიუჯეტები, პროგრამები, ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, დადგენილება და განკარგულებები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის წარმომადგენლობითი ხარჯიდან დაფინანსდა: 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის გადასაცემი საჩუქრები. 2. მრავალშვილიანი და ღვაწლმოსილი ქალბატონებისთვის გადასაცემი საჩუქრები. 3. რევაზ ინანიშვილის სსონისადმი მიძღვნილი კაფე საღამოს მოწვობა. 4. ანსამბლ „ინარის“ შემოქმედებითი საღამოს ორგანიზება. ქ. საგარეოსში იგეგმებოდა 35 საწლიანი საავადმყოფოს გახსნა, უშუალოდ ჩემი ძალისხმევით და ინიციატივით საწლების რაოდენობა გაიზარდა 52-მდე და ძალიან ძალიან საგარეოს შემემატება 52 საწოლზე გათვლილი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო, რომელიც მოემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ ბატონმა ფრიდონ ბურდულაძემ დადგინდა გადაუხადა დეპუტატებს და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს მათ მიერ გაწეული მუშაობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ თითოეული მათგანი მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას გაამართლონ გამოცხადებული ნდობა და იზრუნონ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე და მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე.

სხდომამ დადებითად შეაფასა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობა.

საკრებულოს სხდომაზე მოისმინეს საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის ბიორბი შარლოზანიძის 2016 წლის წლიური ანგარიშის შესახებ.

როგორც მან აღნიშნა, – 2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 11 პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამაც ტენდერის ჩატარების და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეადგინა 2 631 660 ლარი, რაც შარშანდელთან შედარებით 296387 ლარით მეტია. (2015 წელს რეგიონული პროექტებზე გამოყოფილი იყო 2 335 273ლ) აქედან, მოხდა ორი საბაგეო ბაღის სრული რეაბილიტაცია: ქ.საგარეოსში და სოფელ ბაღიაურში, ქ. საგარეოსში მოეწყო ასფალტის საფარი დოდაშვილის, ქეთევან წამბულის, წერეთლის, ქურდიანის და ჯანგულაშვილის ქუჩებზე. ასფალტის საფარი მოეწყო ასევე სოფელ შიბიანში და ღუზაგარაბა - თულარის დამაკავშირებელ გზაზე, სოფ.პატარა ჩიულენიდან თანამდინარე რეზერვუარი და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარი, სოფ.ხაშში მოხდა სათავე-ნაგებობის მოწვობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2016 წელს საგარეოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი იყო 1 082 163 ლარი, რომელიც თანხაც მოსახლეობის რაოდენობიდან გამოდინარე განაწილებული იყო მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე, სოფლებში ჩატარებულ კრებებზე მოსახლეობის მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რომელიც სამუშაოების 90 პროცენტზე ამ დროისათვის უკვე დასრულებულია.

2016 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვაში და სამუშაოებში გახარჯულია 1 783 276.08 ლარი. საიდანაც წყლის სისტემების რეაბილიტაციაში და მოვლა-პატრონობაში გაიხარჯა 508 175.60 ლარი, დასუფთავების ღონისძიებებში 509 600 ლარი, გარე განათების მოწვობა-რეაბილიტაციაში 97 553 ლარი, სანიაღვრე არხების აღდგენა-რეაბილიტაციაში 9163.44 ლარი, სპორტული მოედნების მოწვობა რეაბილიტაცია 20 612 ლარი, კეთილმოწყობაში 353 432.27 ლარი, სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაციაში 43 980.93 ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და რეაბილიტაციაში 219 376.1 ლარი. მოეწყო კოსტავას ქუჩაზე ჭაბურღილი - 25 368,82 ლარი, შეკეთდა შ. გიორიშვილის და ა. მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზები- 20 062ლ, ჩატარდა იორმუღანლოს იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები 48 988,73 ლარი, გადაიხურა კახეთის გზატკეცილზე მდებარე 13, 15

კორპუსები- 39 719,98 ლ, ხოლო სტიქიით დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების გადახურვაზე გაიხარჯა-65 834 ლ. სოფ. უჯარმის ბაღის სახურავის გადახურვა- 11 796,93 ლ, ქ.საგარეოსში მიმდინარეობს ბაზრის მშენებლობა 196 266,88 ლ.

2016 წლის განმავლობაში სამსახურში შევიდა დაახლოებით 2000 -მდე განცხადება, ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით შესწავლილია 1200-მდე მოქალაქის განცხადება, თუმცა ბიუჯეტის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომლებიც აწუხებთ განმცხადებლებს.

სამსახურის მიერ მოხდა 48 მშენებლობის ნებართვის გაცემა, საიდანაც მუნიციპალიტეტმა მოსაკრებლის სახით მიიღო 40776 ლარი.

რაც შეეხება მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოხდა სახელმწიფოსგან როგორც ნაკვეთების, ასევე შენობა ნაგებობების გადმოცემის მოთხოვნა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება.

სამსახური ასევე აქტიურად მუშაობდა, რათა მოხდეს იმ ქონების საპრივატიზებოდ მომზადება, საიდანაც მუნიციპალიტეტი მიიღებს სარგებელს.

აქტიურად მუშაობენ სტატისტიკის მიმართულებით, ხდება ინფორმაციის მოძიება და ერთიანი ბაზის შექმნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული „როფლის შტაბის“ მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამსახურის თანამშრომლები, რათა მოხსნათ პრობლემების გარეშე მოხერხებინა მოწვეული ყურძნის ჩაბარება. ასევე სამსახურმა უზრუნველყო წარმომადგენლების დახმარებით მოსახლეობისთვის აგრო და სახნავი ბარათების გადაცემა.

სამსახურს უკვე დაწეული აქვს 2017 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზე აქტიური მუშაობა, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს უკვე შესყიდული აქვს 4 178 921 ლარის ღირებულების პროექტები.

ასევე, მოისმინეს აიპ „საგარეოს სათნოების სახლის“ დირექტორის ილია კუჭუაშვილის 2016 წლის 11 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში. როგორც მან აღნიშნა, საგარეოს რაიონში ფუნქციონირებს ორი სათნოების სახლი, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. ორივე სათნოების სახლს ემსახურება 14 თანამშრომელი.

სათნოების სახლის სუბსიდია გამოყოფილია ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2016 წელს სათნოების სახლები დაფინანსდა 230 ბენეფიციარზე. მთელი წლის სუბსიდია არის 180 000 ლარი, აქედან კვებისათვის 119000 ლარი, ხელფასებისთვის 48600 ლარი, ოფისისათვის 12400 ლარი.

2016 წლის 11 თვის განმავლობაში კვებაში გაიხარჯა 89549,09 ლარი, ხელფასებში 44550 ლარი, ოფისში – 8717 ლარი.

კვებაში გამოცხადებული ტენდერიდან მიღებული ეკონომიით №2 სათნოების სახლს ჩაუტარდა რემონტი, სამზარეულოსა და სამრეცხაოში დაიგო მეტლახი და კაფელი, შეიღება ბენეფიციარების სასადილო დარბაზის კედლები და ჭერი, რომლისთვისაც დაიხარჯა 10028 ლარი. ამავე სათნოების სახლისათვის შექმნილია ორი ცალი გაზქურა თანხით 998 ლარი.

2016 წლის 11 თვეში სათნოების სახლებს მიღებული აქვთ 153842, 08 ლარი, გახარჯულია 153842, 09 ლარი.

საკრებულომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა ილია კუჭუაშვილის მიერ წარმოდგენილი 11 თვის მუშაობის ანგარიში.

სოფლის მეურნეობა

გარეჯული მეფეტვრის ანემო და პერსპექტივები



ბაც, მაგრამ მათ საქმიანობაში ახლებურ ფურცელს შლის კოოპერაციული საწყისების დანერგვა, რაც მთავრობის მხრიდან ხელშეწყობის გარდა, მეფეტვრეებს საშუალებას აძლევს საზღვარგარეთის ბაზრებზე გაიტანონ და დაამკვიდრონ თავიანთი პროდუქტები. რამდენადაც ვიცით, თქვენმა სამსახურმა დიდი საშუალებები გასწია მუნიციპალიტეტში აღნიშნული კოოპერაციების შესაქმნელად. რა მდგომარეობა გვაქვს სადღეისოდ და მეფეტვრეების რამდენი კოოპერატივია აღრიცხული ჩვენთან?

- დღეისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 მეფეტვრეობის კოოპერატივი, რომლებიც გამოცდილ მეფეტვრე-სპეციალისტებს აერთიანებს. ესენია: „მეფეტვრე“ (ხელმძღვანელი ლიზა ბადაშვილი), რკ „ნექტარი“ (ლევიან ლათუნაშვილი), რკ „ზირა“ (ოთარ ზირაქაშვილი), რკ „ლაკაბე“ (გელა გზირაშვილი), „აპი კორპსი“ (თენგიზ სონიშვილი) და რკ „თაფლოვანი“ (დავით ჯიქურაშვილი), რომელშიც საერთო ჯამში ექვს ათეულზე მეტი ადამიანია გაერთიანებული.

- რამდენადაც ცნობილია, ამ კოოპერატივებიდან ზოგიერთმა სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ქვეყნებიდან გარკვეული დახმარებებიც მიიღო, კონკრეტულად რა სახის?

- დიას, ასეა. მაგალითად თენგიზ სონიშვილის კოოპერატივმა „აპი კორპსი-მა“ გაიმარჯვა „მერსი კორპსის“ მიერ გა-მოცხადებულ კონკურსში და მიიღო დაფინანსება 15 ათასი ევროს ფარგლებში. კოოპერატივებმა „თაფლოვანი“, „ზირა“, „ნექტარი“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიიღეს სკები. დამატებით „თაფლოვანი“ ასევე უსასყიდლოდ გადაეცა ციბრუტი და თაფლის შესანახი ბიდონები. გასული თვის 23 რიცხვში საქართველოს ტელევიზიის I არხზე დიმიტრი ერგუშვილის გადაცემაში „ჩვენი ფერმა“ გაშუქებული იყო საგარეოელი მეფეტვრეების ნიკოლოზ ოსიყმიშვილის, თენგიზ სონიშვილის და ილია სიფორაშვილის საქმიანობა. გადაცემის ავტორის და ალბათ, ბევრი მნახველის განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია მეფეტვრეობაში ნიკო ოსიყმიშ-

ვილის მუშაობის თავისებურება სტილ-მა - კერძოდ, უფიჭო და უძირო (ბადე-გამოკრული) სკაში თაფლის მიღების ტექნოლოგიამ, რასაც ვფიქრობთ ანალოგი არ აქვს ჩვენს ქვეყანაში და ამ საქმის პიონერად უნდა ჩაითვალოს...

მარტო საქართველოში კი არა, გარდა იაპონიისა, ამ მეთოდით თაფლის მიღებას არც ერთი სხვა ქვეყნის არც ერთი მეფეტვრე არ ახდენს. თანაც, როგორც ბატონი ნიკოლოზი ამტკიცებს, ამ მეთოდით მიღებული თაფლი თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ერთი ათად აღემატება ჩარჩოიან სკაში წარმოებული თაფლის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ადარაფერს ვამბობ აბი თერაპიის მისეული მეთოდით ადამიანების სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის შესახებ.

- ამ გადაცემაში სხვა პრობლემურ საკითხებზე საუბრისას ჩვენმა მეფეტვრეებმა თაფლის ხარისხის დამდგენი ლაბორატორიის არარსებობაც ახსენეს...

- საბედნიეროდ, ქვეყნის მთავრობის ძალისხმევით ეს პრობლემაც უკვე მოგვარებულია. საქართველოში უკვე არსებობს ევროსტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია მეფეტვრეობის პროდუქციის ყოველგვარი ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამ ლაბორატორიამ უკვე მოახდინა გარეჯული თაფლის ხარისხობრივი მაჩვენებლების უსასყიდლოდ დადგენა, რის შესახებაც წერილობითი ინფორმაცია მიეწოდათ მის მეპატრონეებს.

- მუნიციპალიტეტის საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია იაპონიაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო გამოფენა-დათავალიერების მოწყობის შესახებ, სადაც კახეთიდან სხვა სპეციფიკურ პროდუქციასთან ერთად გარეჯული თაფლის ნიმუშებიც იქნა გაგზავნილი. თუ შეიძლება თქვითვეთ სიტყვით ამ დონისძიების მიზნებისა და იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდნენ გარეჯული მეფეტვრეები ამ გამოფენიდან?



- აღნიშნულ გამოფენა-დათავალიერებაში ჩვენი მუნიციპალიტეტის ჩართვა და მონაწილეობა, ისე, როგორც ზემოხსენებული ტელეგადაცემა, ჩვენი ინიციატივით მოხდა და არა სამთავრობო დონეზე. კერძოდ, იაპონიაში გაგზავნილი იქნება საგარეოელი მეფეტვრეების: ილია სიფორაშვილისა და დავით ჯიქურაშვილის პროდუქციის ორ-ორი ნიმუში. ვნახოთ, როგორ შეფასებას დაიმსახურებენ ისინი ამ გამოფენაზე. იმედი ვიქონიოთ, რომ საგარეჯოდან ჩვენს მიერ გაგზავნილი თაფლის ნიმუშები მოწონებას დაიმსახურებენ მსოფლიოს ამ დარგის ექსპერტთა შორის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენებური თაფლის პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებას. ეს კი თუ რას მოასწავებს, მგონი კომენტარი აღარაა საჭირო.

რაც შეეხება თაფლის ხარისხის დამდგენ ლაბორატორიას, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ლაბორატორია გააჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც მდებარეობს თბილისში, გოძიაშვილის ქ. №65-ში, სადაც გარკვეულ საფასურად, დაინტერესებულ პირებს ყოველთვის შეუძლიათ თავისი პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა.

მართალი ფუტკარი და მისი მრავალმხრივ სარგებლიანი პროდუქტია დიდი ხანია იქცევა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინტერესს. სათანადო ყურადღებისა და მოვლა-პატრონობის შემთხვევაში ჩვენს მეფეტვრეობას დიდი პერსპექტივები აქვს, როგორც ქვეყნის, ისე სოფლის მეურნეობის ამ დარგში დასაქმებული მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. აქედან გამომდინარე, ნამდვილად მისასალმებელია ის ყურადღება და მზრუნველობა, რასაც ამ ბოლო ხანებში ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება იხენს საქართველოს რეგიონებში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ მაღალშემოსავლიანი დარგის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის. ამ საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტუაცია უნდა თქვან ქვეყნის მასშტაბით შექმნილმა კოოპერატივებმა, რომელთაც „მწვანე შუქი აქეთ ანთებულ“ თავიანთი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანისა და იქ თავისი სათანადო ადგილის დახამკვიდრებლად. იმის შესახებ, თუ კერძოდ რა მდგომარეობაა და რა კეთდება ამ კუთხით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ჩვენი გახეთის ფურცლებიდან გვესაუბრება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯამბახიძე.

- ბატონო ნიკო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის, ისე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, უცხო არაა ფუტკრის მოვლა-პატრონობის საქმეც. რაიონში შექმნილი არის მეფეტვრეობის ამხანაგო-

სამმშრნალო-კვებითი თვისებების მქონე მეფეტვრეობის პროდუქტები, განსაკუთრებით თაფლი, წარმოადგენენ მნიშვნელოვან როლს თანამედროვე გარემოცვაში არის არასასურველ ფაქტორებთან ბრძოლაში. თაფლი ქიმიური შედგენილობით ძალიან რთული პროდუქტია, რომელიც შეიცავს 300-მდე სხვადასხვა კომპონენტს. წყლის შემცველობა თაფლში 15-დან 23%-მდეა. თაფლის ძირითად ნაწილს შეადგენენ შაქრები (გლუკოზა, ფრუქტოზა, მალტოზა, ტრეგალოზა, საქაროზა და სხვ.), რომელთა წილზე მოდის თაფლის მშრალი ნივთიერებების დაახლოებით 95%. აზოტოვანი ნივთიერებები თაფლში წარმოდგენილია ცილებით და ცილოვანი ნაერთებით. მათი უმრავლესობა ფერმენტებია (ინვერტაზა, დი-ასტაზა, - და -ოქსიდაზა, კატალაზა, გლუკოზოოქსიდაზა და სხვ.). ისინი თაფლში ხვდებიან ძირითადად ფუტკრის სანერწყვე ჯირკვლებიდან. თაფლი შეიცავს აგრეთვე ზოგიერთ ორგანულ მჟავებს (ვაშლის, რძის, ძმრის, ლიმონის, ღვინის და სხვ.), მღებავ ნივთიერებებს და ეთერზეთებს, აგრეთვე თითქმის ყველა მიკროელემენტს, კერძოდ, ნატრიუმს, კალიუმს, მაგნიუმს, თუთიას, მანგანუმს, რკინას, ქრომს და კობალტს. ვიტამინები თაფლში ბევრი არაა. მათი რაოდენობა დამოკიდებულია პროდუქციისა და ფქვილის მინარევისაგან. სწორედ ისინი განსაზღვრავენ თაფლის ბევრ სამკურნალო თვისებას. ისინი ზრდიან სისხლძარღვების სიმტკიცეს და ელასტიურობას, ხასიათდებიან ანთებისსაწინააღმდეგო და ათეროსკლეროზის-საწინააღმდეგო მოქმედებით. თაფლის არამატე განაბრობეპულია 120-ზე მეტი ქიმიური ნაერთის არსებობით, რომელთა შორისაა: სპირტები, ალდეჰიდები, რთული ეთერები, ოქსიმეთილ-ფურფუროლი და სხვ. ადამიანის ორგა-

სასარგებლო კროდუქტი თაფლი სამკურნალო და სასიცოცხლო ელემენტებია

ნიზმზე სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს თაფლის როგორც ცალკეული კომპონენტები (შაქრები, ფერმენტები, ანტიბიოტიკები, ამინომჟავები, ფლავონოიდები, ვიტამინები), ასევე მათი კომპლექსი. თაფლის შაქრები აღწევენ რა სისხლში, წარმოადგენენ ენერჯის ძირითად წყაროს კუნთებისათვის, გულისა და ნერვული სისტემისათვის. თაფლის ფერმენტები ხელს უწყობენ ორგანიზმის საჭმლის მომწელებელ პროცესებს. ვიტამინები მოქმედებენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის შუალედურ პროცესებზე და ხელს უწყობენ შინაგანი სერკუციის ჯირკვლების მუშაობას. თაფლს გააჩნია ანტიმიკრობული და ლაბობისაწინააღმდეგო თვისებები. თაფლი ანტიბიოტიკურად მოქმედებს ზედა სასუნთქი გზების ინფექციების გამომწვევ მიკროორგანიზმებზე. აგრეთვე თრგუნავს ნაწლავთა ბაქტერიულ ინფექციებს, მაგალითად, დეზინტერიას. თაფლი ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას, მასში არსებული ორგანული მჟავები აღიზიანებენ ქსოვილებს, აძლიერებენ სისხლის მიმოქცევას და ლიმფის სერკეციას. თაფლის შაქრები და ვიტამინები აუმჯობესებენ ტოქსინების გამოყოფას. თაფლი დადებითად მოქმედებს ანთებით პროცესებზე თირკმელებში და შარდის ბუშტში. ის დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე; დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა კვებაში. ფუტკრის ფქვილი - ეს არის ყვავილის მტვრის ნაწილაკების

ერთობლიობა. ყვავილის მტვერი შეიცავს მაღალი ბიოლოგიური ღირსების მქონე ნივთიერებებს, კერძოდ, ახალი ფქვილი შეიცავს: ცილოვან ნივთიერებებს (22-40%), ნახშირწყლებს (30-60%) ძირითადად გლუკოზას და ფრუქტოზას, ლიპიდებს, ვიტამინებს: ჩ 1, 2, 5, 6, 8, ფოლის მჟავა, ბიოთინს, ტოკოფეროლს, პროვიტამინ -ს (ორგანიზმში გარდაიქმნება ვიტამინად), ვიტამინს, ფერმენტებს: ამილასას, ინვერტაზას, კატალაზას, ფოსფატაზას და სხვ. ანტიბიოტიკებს, მინერალურ ნივთიერებებს- ყველაზე მეტია კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი და მაგნიუმი. მინერალური მარილები ფქვილში მეტია, ვიდრე თაფლში. შეიცავს აგრეთვე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს- 0,60-4,87% ნუკლეინის მჟავებს, ფეროლურ ნაერთებს- ფლავონოიდებს და ფენოლმჟავებს. ეს არის ნივთიერებათა ჯგუფი, რომელთაც ახასიათებთ ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების ფართო სპექტრი- კაბილარების გამამარებელი, ანთების საწინააღმდეგო, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მასტიმულირებელი. ფუტკრის რძე რთული ბიოლოგიური პროდუქტია. ის შეიცავს ცოცხალი ორგანიზმის მშენებლობისათვის საჭირო ყველა ძირითად ნივთიერებას: ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს, აგრეთვე ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ჰორმონებს და ფერმენტებს.

მასში აღმოჩენილია 22 ამინომჟავა (არგინინი, გლიცინი, ცისტეინი, ჰისტიდინი, ლიზინი, ვალინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, თრეონინი, სერინი, მეთიონინი, გლუტამინის მჟავა, ტრიფტოფანი და სხვ.). ფუტკრის რძის ცილები მდიდარია შუცველელი ამინომჟავებით და ამიტომაც სრულფასოვანი არიან. მასში ბევრია „C“, 1, 2, 5, 6, 8 ვიტამინები, ბიოთინი, ფოლის მჟავა, ინოზიტი და ნაკლები- A, D, E ვიტამინები. ფუტკრის რძე შეიცავს 5,46% ცხიმებსა და 12,7% ნახშირწყლებს. მიკროელემენტებიდან საინტერესოა რკინა, მანგანუმი, თუთია და კობალტი, როგორც ნივთიერებები, რომლებიც აუცილებელია სისხლის წარმოქმნისათვის. ფუტკრის რძის შემადგენლობაში შედიან აცეტილქოლინი, ქოლინესტერაზა, საჭმლის მომწელებელი ფერმენტები, ჰორმონები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები - საერთო რაოდენობით 3,9%. ფუტკრის რძე ახდენს მასტიმულირებელ მოქმედებას უმაღლეს ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებს მესიერებას და მხედველობას, ამცირებს შაქრის შემცველობას სისხლში დიაბეტით დაავადებულებში. იგი წარმატებით გამოიყენება 54 დაავადების მკურნალობისას. მათ შორისაა ბრონქიალური ასთმა, ქრონიკული ყაბზობა, ნევროზები, დეიდის დაავადებები, კლიმაქსური დარღვევები, უმადობა და სხვ.

სოფელი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

წყაროსთავი



ინფრასტრუქტურა

გიორგი ველს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ 21577 ლარი იყო გამოყოფილი. ადრე გაზაფხულზე სოფლის მოსახლეობაში ჩატარებული კრებების ოქმის მიხედვით თანხა გადანაწილდა – 14309 ლარი მოხმარებოდა სოფლის ცენტრალური ქუჩის

გარე განათების მოწყობას და 7268 ლარი, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას.

სოფელში ამორეცხა, გაიწმინდა და შეიღება 50 და 80 ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარები. ხეში ამოცვალა 150 მეტრზე 80 მილიმეტრიანი სასმელი წყლის მილი, რომელიც დაზიანების გამო მართლაც დიდ პრობლემას ქმნიდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხში. სოფელში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოიხრეშა 2 ქუჩა, ერთი – 1კმ-ზე, მეორე 0,5კმ-ზე. სოფლის გზების საერთო სიგრძე 4 კმ-ია. აქედან



გიორგი ველსის წარმომადგენლის **თინათინა ნიკო** ხაბაზიშვილი

მოასფალტებულია მხოლოდ 1 კმ სიგრძის ცენტრალური გზა. ჯერ-ჯერობით გარეგანათება მოწყობილია ცენტრალურ ქუჩაზე, დარჩენილია მხოლოდ 250 მ-მდე სიგრძის ქუჩა გასანათებელი, რასაც 2014-2015 წლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტიდან მორჩენილი 4200 ლარი მოხმარდება.

სოფელი გაზიფიცირებულია. სოფელი სარგებლობს ინტერნეტ-მომსახურებით.

სკოლა


წყაროსთავის საჯარო სკოლა (*მეზობელი*) ერთსართულიანი შენობაა, რომელიც მწვანე ნარგავებსა და სკოლის საცდელი ნაკვეთის ხელახლებაშია ჩაფიქრებული. სულ აქ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას 8756 მ2 უკავია. აქ გაშენებულია ვაშლის, მსხლის, ქლიავის ხეები.

სკოლაში 12 საფინანსო კლასია,



გიორგი ველსის

რომელშიც 72 მოსწავლეა გაერთიანებული. მათ შორის პირველ კლასელია – 7 (მასწავლებელი ინგა მეკოშიშვილი), XII კლასში კი 6 მოსწავლეა (კლასის ხელმძღვანელი მარიამ გვიგოშვილი). აქაური მოსწავლეების სწავლა-აღზრდას 27 პედაგოგი ემსახურება, მათგან 2 სერტიფიცირებულია. სკოლის პედაგოგები და აქაური მოსწავლეები დიდ პატივს სცემენ სკოლაში ათეული წლობით მოღვაწე პედაგოგებს – ნინელი მუხიაშვილს (ამავე სკოლის ყოფილი დირექტორი, ბიოლოგიისა და სპორტის მასწავლებელი), ცინარი საგინაშვილს (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) და ინგა მეკოშიშვილს (დაწვეებითი საფეხურის



სკოლის შენობა

იღეს ესეების კონკურსში „შოთა და თანამედროვეობა“, სადაც ორმა მოსწავლემ შე

ძლო ესეების გაგზავნა. ამასთან, ვასიკო გაგინაშვილი საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებს „სმარტ“-ის კონკურსში, სადაც იგი ფინალში საკმაოდ დიდი წარმატებითაა გადასული. გვიან წარმატებული IX კლასის მოსწავლე ნინო გაგინაშვილი, ქართულისა და ინგლისურის კონკურსებში. რაც შეეხება დაწვეებითი განათლების საფეხურის მოსწავლეებს – მესამეკლასელებს: გივი გელოვანს, შალვა ბეგიტაშვილს, გიორგი აფხაზიშვილს, ლაშა კუჭუაშვილს, ისინი მართლაც გარკვეულ შედეგებს აღწევენ. II კლასის მოსწავლე ლაშა ბეგიტაშვილმა კი „უნდერკინდის“ სახელიც



VII კლასში კვირბერი ცინარი საბინაშვილი

კლასების მასწავლებელი).

სკოლის მეწვერს მიაა ნადირაძეს 20 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება აქვს. აქ ჯერ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, 2012 წლის მარტიდან კი სკოლის მეწვერია. როგორც მიაამ საუბარში აღნიშნა: – ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივ ოლიმპიადებში, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადებში. მათ აქვთ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო პროექტსა და კონკურსში. ჩვენს სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ტარდება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები, ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები. სასწავლო პროცესის მონიტორინგის პროცესში ჩართული ვართ სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე. მცირე დისციპლინურ გადაცდომებზე, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე სკოლა ახდენს შესაბამის რეაგირებას: სკოლის მოსწავლეები თავიანთ მასწავლებლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში, ასე, მაგალითად, 2016 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადში მონაწილეობას იღებს 6 მოსწავლე – ვასიკო გაგინაშვილი, ლია გელოვანი (XII კლასი), მაკა კერატიშვილი (XI კლასი), ნინო დათუნაშვილი, თამარ კერატიშვილი მაკა ჩერქეზიშვილი (X კლასი). ჩვენი სკოლა, ასევე ჩართული იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ორგანიზაცია „მოქალაქის“ ინიცირებულ სამოქალაქო განათლების ოლიმპიადებში, სადაც ჩვენმა მოსწავლეებმა თამარ გაგინაშვილმა და სულიკო კერატიშვილმა (ახლა ისინი უმაღლესი სასწავლებლის პირველკურსელები არიან) და ვასიკო გაგინაშვილმა (XII კლასი), მხოლოდ 2 ტური გადალახეს, მაგრამ საჩუქრებად მიიღეს 50 ლარიანი ვაუჩერი „ბიბლუსის“ მაღაზიაში წიგნების შესაძენად. გასული სასწავლო წელი თამარ გაგინაშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა, ახლა იგი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების პირველკურსელია. მან თავისი სწავლით სახელმწიფოსგან 70%-იანი დაფინანსება მიიღო. 2016-2017 სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მი

კი მოიპოვა... სკოლას ჰყავს საქართველოს სპორტული გუნდის „ხრილოვის“ წევრი, მოტიდავე, საქართველოს ჩემპიონი, მეორე თემეტეკელის ილია მახარაშვილი, რომელიც ქართულ ფოლკლორულ სიმღერებსაც მშვენივრად მღერის...

ამ წარმატებულ მოსწავლეებს კი, მოგეხსენებათ შესაბამისი სასწავლო პროცესი უნდა შეუქმნათ, რასაც სკოლის დირექცია და სამეურნეო საბჭო რაღაცნაირად ვახერხებთ. 2015 წელს ვაუჩერული დაფინანსებით, თანხების გარკვეული ეკონომიით სკოლის შენობაში გაკეთდა ცენტრალური გათბობა, რამაც მართლაც კარგი შედეგი მოგვცა. ამას წინ კი, 2011 წელს სკოლის შენობისათვის მეტალოპლასტმასის კარფანჯრის შეცვლა უძღოდა. სკოლის შიდა მხარე მყარად იქნა დაცული ქარის, წვიმისა და სიცივისაგან... 2010-2011 წლებში ეტაპობრივად ჩატარებულ რეაბილიტაცია. საკლა



ღია სპორტული მოედანი

სო ოთახების სიმცირის გამო (8) ჩვენთან სწავლა ორცვლიანია. გვაქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ოთახი, გვაქვს ღია სპორტული მოედანი...

იმის გამო, რომ სკოლაში სწავლა ორცვლიანია, სოფლიდან შემინეოდა მოსწავლეთა მიგრაცია, მაგრამ ბოლო ხანს შემინევა მოსწავლეთა კონტინენტის ზრდა, რაც დადებითი მოვლენაა სკოლისათვის.

ჩვენი სკოლის პედაგოგები ჩართულები არიან პროფესიული განვითარების სქემაში და აქტიურად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე. მასწავლებელთა პროფესიულ საქალაქო არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე შეფასების ჯგუფის მიერ მოხდა მასწავლებელთათვის კრედიტ-ქვლების მინიჭება. სკოლის დირექციაც თავის მხრივ ცდილობს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი

მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

სკოლაზელი აღზრდის დაწესებულება

დაწესებულება ერთსართულიან მკურნა

შენობაშია შეწყული თავის თვალმხარა გოგო-ბიჭებით. დაწესებულების **მენეჯერის** რიტა ბაბანიძის თქმით, აქ აღზრდელთა ერთი ჯგუფია (აღმზრდელი ქეთევან ქვთარაძე, აღმზრდელის თანამშემწე ლენა დათუნაშვილი) ჰყავთ 17 აღსაზრდელი.



მენეჯერი

ყოველ დღეას აქ სიხარულით მოსულ ქეთის, მარიამს, თემურის, სულ პატარა – 3 წლის ნიკა გაგინაშვილს და მათ მეგობრებს აღმზრდელთან და მის თანამშემწესთან ერთად თბილი ღიმილით ხვდებიან



მედლა ნატო გრძელაშვილი, „სხარეული ნათია დულაძე, დამლაგებელი ფატი ხითარაშვილი. თავად დაწესებულების მენეჯერს

რიტა ბაბანიძეს 14 წლის მუშაობის სტაჟი აქვს, აქედან 10 წელია, რაც მენეჯერია.

შენობა 2012 წელსაა აშენებული მოწყობილობით, სამეცადინო-სათამაშო ოთახით, საძინებლით, შესასვლელითა და სველი წერტილებითა და ის ძველი შენობა, რომელიც იმავე ეზოში დგას მართლაც რომ გასულ საუკუნეს შეახსენებს წყაროსთაველებს. თუმცა, სიმართლე ითქვას, ამ შენობაში ყველაფერი თითქმის ერთ დიდ ოთახში იყო განლაგებული, მაგრამ, როგორც მახსოვს, იქ მოწყობილ ზემებში

ინსტრუმენტი პიანინოც „იღებდა მონაწილეობას“. აქ კი... კონტინენტის სიმცირის გამო აქ არც ფსიქოლოგის, არც

ლოგოპედის და არც მუსიკის მასწავლებლის შტატი არ არის... ვნახოთ, თანდათან იზრდება დემოგრაფიული მდგომარეობა, იქნებ მომავალი წლებიდან მაინც შექმნონ ჯგუფის „გამრავალიცხოვნება“... ინებოს უფალმა!..



ნათია დულაძე, ფატი ხითარაშვილი



სამაია: – ენა ქართული ყველა პროვინციაში უნდა იცოდეს

ლიურ ენასთან ერთად ეფუძლებიან სახელმწიფო ენას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ სწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ. ამ მხრივ კარგი ტრადიციებია იორმულანდოს საჯარო სკოლაში, რომლის ათეულობით კურსდამთავრებული სადღესოდ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას.

ამჯერად კი გვინდა გაგაცნოთ ამ სკოლის ერთ-ერთი წარჩინებული და ქართული ენის კარგი ცოდნით გამოჩენილი მოსწავლე სამაია მამედოვა, რომელიც თითქმის ისევე კარგად ფლობს ქართულ ენას, როგორც მშობლიურ აზერბაიჯანულს.

– სხვა აზერბაიჯანული ოჯახებისგან განსხვავებით ჩემს ოჯახში სამი ადამიანი – მამა, პაპა და ბებია კარგად მეტყველებენ ქართულად. – მეუბნება სამაია – ალბათ, ამიტომაც იყო, როცა ჩემი სკოლაში მიყვანის დრო დადგა, სპეციალურად აქ გასწავლეს ქართულ სექტორზე შემიყვანეს. იმ ხანებში ჩვენი მოსახლეობის ქართული ენით დაინტერესება მაინცდამაინც დიდია. ყოფილა, ამიტომ IV კლასის ჩათვლით ჩვენს კლასში 8-9 მოსწავლე ვიყავით. სამაიადი, მასწავლებლები შეგვხვდა გამორჩეული და საუკეთესო – თეა გურგენიძე. ის

ძალიან განათლებული, კარგი და ენერგიული მასწავლებელია. ოთხი წლის მანძილზე მან თავისი დაუღალავი შრომით მე და ყველა ჩემს თანაკლასელს საფუძვლიანად შეგვაყვარა და გვასწავლა ქართული ენა. აქვე მინდა დავძინო, რომ იგი არც ახლა გვტოვებს ყურადღების გარეშე და მზრუნველობას არ გვაკლებს თავის ნამოწაფრებს.

– როგორც შეგიყვ, თეა მასწავლებლის ინიციატივით მის მოსწავლეებს პროექტის „არა ძალადობას“ ფარგლებში სპექტაკლიც დაგიდგამთ და ვიდუფირებეც გადაგიღიათ. კერძოდ, რას შეეხება სპექტაკლი და თავად რა როლის თამაში მოგიხდა მასში? – ვეკითხები სამაიას.

– ესაა ჩვენი ყოფა-ცხოვრებაში დღემდე შემორჩენილი მანკიერი თვისება ოჯახური ძალადობის, კერძოდ – დედამთილების მიერ რძლების დანაგვრის ფაქტზე აგებული სპექტაკლი, მასში მე „ავი დედამთილი“ როლს ვასრულებ, თუმცა იმის გამო, რომ მე შინაგანად ვეწინააღმდეგები ყოველგვარ ძალადობას, შემადგენლობა რომ ამ როლისათვის ასე თუ ისე თავი გამერთვა. მე ძალზე მომეწონა და კარგი იქნება თუ ასეთი პრაქტიკა მომავალშიც გავრცელდება.

– ქართული ენის შესწავლის სურვილის გარდა, რა თქმა უნდა, სხვა მისწრაფებებიც

გეგნება, რა პროფესიის გააყვები სკოლის დამთავრების შემდეგ?

– ქართული ენის გარდა ძალზე მიყვარს და მიტაცებს ისტორია, ქიმია, ბიოლოგია. ასევე მაინტერესებს სპორტიც. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მინდა მივიღო უმაღლესი განათლება და გავხდე ფსიქოლოგი.

– რა აზრის ხარ იორმულანდოს საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და საერთოდ, აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობის მიერ ქართული ენის შესწავლა-დაუფლების შესახებ?

– ამის შესახებ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს. ქართული ენა უნდა იცოდეს საქართველოში მცხოვრებმა როგორც აზერბაიჯანელმა, ისე სხვა ეროვნების ხალხმა, რომ ადვილად შეძლონ ერთმანეთთან ურთიერთობა, ისწავლონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მოიპოონ პროფესიის შესაბამისი სამსახური და სხვა. და რაც უფრო მალე გააკეთებენ ამას, ეს ქვეყნისთვის და მათთვისც სასარგებლო საქმე იქნება.

ესაუბრა ბიძი ლაზაროვი

კობა მჭედლიშვილი 23 წლამდელებში ევროპის ჩემპიონია



ნოემბერში თელავში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში 23 წლამდელებში შორის მონაწილეობას იღებდა აიპ „საგარეჯოს სპორტკლუბის“ ალხრდილი, ჭიდაობა სამბოში საქართველოს ჩემპიონი და ევროპის II პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიუ-დოში ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში, ევროპის ჩემპიონი პირად და გუნდურ შეჯიბრებაში, მსოფლიო ჩემპიონატების II და III პრიზიორი გუნდურ და პირად პირველობებში **კობა მჭედლიშვილი**.

ჩვენს სახელოვანმა ფალავანმა ბრწყინვალედ იასპარეზა თელავის ტაბულაზე და 81 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა საგარეჯოში. ვულოცავ კობა მჭედლიშვილს ამჯერად პირად პირველობაში ევროპის მეორედ გაჩემპიონებას და ვუსურვებთ მომავალშიც გაეხარებინოს ძიუდოს გარეჯული გულშემატკივრები თავისი ახალი წარმატებებით.

სპორტსკი კიულო ვანო ოტიაშვილი ხსოვნის ტურნირი

2016 წლის ნოემბრის ბოლოს საგარეჯოში ჩატარდა ფალავან ვანო ოტიაშვილის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში 2004-2006 წლებში დაბადებულ ძიუდოსტთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ახმეტის, მცხეთის, გურჯაანის, საგარეჯოს 95 ნორჩი ძიუდოსტი.

ორდღიანი ასპარეზობის შედეგად II წონით კატეგორიაში საგარეჯოელებმა შემდეგ შედეგებს მიაღწიეს:

24 კგ წონითი კატეგორია: II ადგილი – გიორგი ხერგიანი (უდაბნო); III – ლუკა კანჯარაშვილი (საგარეჯო), ლუკა დარისპანაშვილი (გიორგიშინდა).

27 კგ წონითი კატეგორია: I – შოთა ბახოშვილი; II – ვახტანგ ჭიბურაშვილი (ორივე საგარეჯო); III – ზურა გურჩიანი (უდაბნო) და ნიკა კურდღელაშვილი (საგარეჯო).

30 კგ წონითი კატეგორია: I – დათო კველიშვილი (გიორგიშინდა); II – ონისე ბორაშვილი (მანავი); III – გიორგი კურდღელაშვილი (საგარეჯო);

34 კგ წონითი კატეგორია: I – ნიკოლოზ თათრიაშვილი (გიორგიშინდა); II – გიორგი ზუკაკიშვილი (პატარაშენი); III – ვახო ჭიბურაშვილი (საგარეჯო), გიორგი სულიკაშვილი (საგარეჯო);

38 კგ წონითი კატეგორია: I – ირაკლი იოსელიანი (უდაბნო), II – საბა ოთიაშვილი (კაკაბეთი), III – ამირან თამლიანი (უდაბნო), მიხეილ ყორღანაშვილი (საგარეჯო);

42 კგ წონითი კატეგორია: I – გიგი ხოსიტაშვილი (გიორგიშინდა), II – ზურა კველიშვილი (გიორგიშინდა), III – გიგა მასურაშვილი (კაკაბეთი).

46 კგ წონითი კატეგორია: III – გიორგი არღვლიანი (უდაბნო), გიგა ჩოკოშვილი (მზისგული);

50 კგ წონითი კატეგორია: I – ნიკა ხაჭვანი (უდაბნო), II ბექა მასურაშვილი (გიორგიშინდა);

55 კგ წონითი კატეგორია: I – გიორგი ღურგლიშვილი (საგარეჯო), II – დათო შალვაშვილი (პატარაშენი);

60 კგ წონითი კატეგორია: I – ლაშა ლოლაძე (საგარეჯო), II – გიგი ესაიაშვილი (საგარეჯო), III – თამაზ შალვაშვილი (პატარაშენი);

+60 კგ წონითი კატეგორია: I – სანდრო სონიშვილი (საგარეჯო), II – ბექა დიდმელაშვილი (გიორგიშინდა), III – დათო კველიშვილი (გიორგიშინდა), ნიკა მარხვაშვილი (საგარეჯო).

საპრიზო სამუელში შესული ნორჩი ძიუდოსტები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციის შესაბამისი მედლებითა და სიგელებით.

საქართველოს პირველობის საბარეჯოელი ბამარჯვეზული

26-27 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ძიუ-დოში უფროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის, სადაც 81 კგ წონით კატეგორიაში ორი ჩვენბური მოჭიდავე ჭიდაობდა – კაკაბერი კობა მჭედლიშვილი და დიდნიღურელი თამაზი კირაკოზაშვილი. ამ პაექრობაში უფრო ძლიერი და გამარჯვებული თამაზი კირაკოზაშვილი აღმოჩნდა, რომელიც წელს პირველად გახდა ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონი, კობა მჭედლიშვილი კი ავადმყოფობის გამო III ადგილს დასჯერდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტატამზე მოპოვებული ამ წარმატებით თამაზი კირაკოზაშვილი დასახელდა ტურნირის საუკეთესო სპორტსმენად.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა თერჯოლაში, რისპუბლიკურ ტურნირზე

ნოემბრის ბოლოს თერჯოლაში ჩატარდა ტურნირი მოჭიდავე შაქრო იაძის სახელობის რესპუბლიკური ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (2003-2004 წლიან ჭაბუკებში). ასპარეზობაში საქართველოს ამ სტილის 200 მონაწილეს შორის მონაწილეობას იღებდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ თამაზ ყიფიანის აღსაზრდებლებიც, რომლებმაც სულ რაღაც

ერთი თვეა, რაც ჭიდაობის ამ სახეობაში დაიწვეს ვარჯიში.

ერთი მეორე და ერთი III ადგილი, ასეთია მათი შედეგი ამ ტურნირზე.

კონკრეტულად კი ტურნირის ვიცე-ჩემპიონი გახდა 66 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მუხმად წუწაშვილი, ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ტარიელ პაატაშვილი.

ამის შემდეგ თამაზ ყიფიანის აღსაზრდებლებმა მონაწილეობა მიიღეს რუსთაველაში გამართულ გიორგი მისიურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში, სადაც შექმლეს სამი მესამე ადგილის დაკავება. მუხმად წუწაშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 63კგ წონით კატეგორიაში, ზეზუა ბაიხომიძე – 26 და აკაკი რომაშვილი – 44 კგ წონით კატეგორიაში.

საგარეჯოელთაგან ღია პირველობის ჩემპიონები და ოქროს სინჯის მედლების მფლობელები გახდნენ ნიკოლოზ კუჭუაშვილი (2000 წლიანები), სერგი დოლონაძე (2002წ) და გოგა საგინაშვილი (2003წ).

მეორე ადგილები და ვერცხლის მედლები ხვდათ წილად ქიტესა გილაშვილს (2002წ) და დავით ბექაურს (2004წ).

პ. ლაპატიშვილი

მეგობრობის სახელით ფოლკლორული სიმღერების გულშემატკივრები



შემოდგომის დამახასიათებელი საგარეულო კულტურის სახელის მცირე დარბაზი შემოდგომის ფერადი ფერებით შეხვდა გარეუღელ მსმენელს. აქ ისინი ქალთა სახალხო

„ჩინარის“ სიყვარულმა, მათთან კიდევ ერთხელ შეხვედრის დიდმა სიხარულმა და დიდი ხნის მეგობრობამ მოიყვანა. ეს მეგობრობა „ჩინარის“ დაარსებიდან სწორედ რომ 32 წელს ითვლის... მაგრამ, ამ მონატრულ შეხვედრას გარეუღელთან ერთად თელავის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „წინანდალიც“ ესწრებოდა. გარეუღელი „ჩინარელებისა“ და თელაველი „წინანდლების“ მეგობრობას წლების წინ საგარეულო მსმენელმა რაიკომის მდივანმა მედეა მეზერიშვილმა ჩაუყარა საფუძველი, როცა ორივე ანსამბლი შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფოლკლორულ ფესტივალზე მიდიოდა და ასე დამოძღვრა: „ამიერიდან თქვენ უნდა გადოთ ხიდი მეგობრობისა საგარეულოსა და თელავს შორის“-ო... და მართლაც, აგერ, ათეულობით წლებია ეს ხიდი უფრო განმტკიცდა, უფრო გაფართოვდა და დღეს ამ ორი ანსამბლის წევრებთან ერთად მათი თავგანისმცემელი მსმენელიც მეგობრობის, სიყვარულის ღამას და მტკიცე ხიდს საოცრად უფროსიღდება და ამ ხიდის გაფართოებაზე ყოველწლიურად ზრუნავს. მართლაც წლები წლებს მიჰყვება, ამ წლების მანძილზე თითქოს ერთმანეთს „ანგარიშს აბარებენო“ ხშირად უსმენენ. აფასებენ, იწონებენ, ახალ-ახალ სიმღერებს სთავაზობენ – ისეთებს, რომლებიც ანსამბლის ხასიათში შევა... და ნოემბრის იმ საღამოსაც სახელწოდებით „მეგობრები გველიან“ სასიხარულო მოლოდინით გაბრწყინებულმა საგარეულო მსმენელმა შეავსო დარბაზი, ამ მოლოდინის დაგემოვნებას კი „წინანდალიც“ ამძაფრებდა.



რის“ სიყვარულით ნასათუთვე სიმღერებს, იმ სიმღერებს, რომლებიც ხალხიდან, ზეპირსიტყვიერებიდან, ზოგ-ზოგიც უკვე მიჩუმებული ამოიყვანეს, სული ჩაუდგეს და მსმენელთან მოიტანეს.

მსმენელს ატკობდა „ჩინარის“ გონების მიერ შესრულებული სიმღერები – ქალაქური ფოლკლორიდან, საფერხული, დღის მიერ აკვანთან ნამღერი „იავნანა“ ფშური, კახური საქორწილო „ჯვარი წინასა“, „ლომისა“ „როდემდის უნდა მაწამო“, „ჩემო ადრე გაზაფხულო“, „ძველი პანგი“, „შაშვი“, გულზე ცეცხლი მედება“, „პატარა კახი“... საგარეულო პოეტების ნოდარ დიდელაშვილის „შემოდგომის ბურუსი“, ვენერა მამისაშვილის „ჩიტი გვრიტი და...“

დიახ, იმ საღამოს ერთმანეთს ენაცვლეობდნენ „ჩინარელები“. მათ სულაც არ უცდიათ რაიმე ხერხებით მოეხიბლათ მსმენელი... მსმენელი, რომელსაც უყვარს, აფასებს თითოეულ „ჩინარელს“. მისი ხელმძღვანელი ნელი გულიაშვილი კი ერთგულად საუნჯედ, გარეუღელთა სიამაყედ მიანიჭა თავისი შემოქმედებით... „ჩინარელებმა“ სცენა „წინანდლებსაც“ დაუთმეს და ის საღამო მართლაც იქცა ქართული ფოლკლორის ზემოდა, დღევანდელ, რომელსაც მსმენელთა მოგონებათა წიგნში კიდევ ერთ ღამას გვერდად აიკინდა... კონცერტის დამთავრების შემდეგ დარბაზი დიდხანს ესიყვარულებოდა, ეფერებოდა კახეთის „საეპიტო ბარათად“ წოდებულ „ჩინარელებსა“ და „წინანდლებს“...

არ ეთობოდა არც ერთი და არც მეორე, არც ის ღამაზი, სულში ჩამწვლში სიმღერები, რომლებიც ფოლკლორულ მარგალიტებად შემოვთავაზეს, რომლებმაც კიდევ ერთხელ შეახსენეს მსმენელს ქართველობა და ის დიდი საუნჯე, რასაც ქართველობა და საქართველო ჰქვია.

ჩინარელებმა ღონისძიების დასასრულს მადლობა გადაუხადეს თავიანთ საყვარელ ხელმძღვანელს, ქალბატონ ნელი გულიაშვილს „გამორჩეულს თავისი ნიჭიერებით და ამავეთ, ორიგინალურობით. მადლობას გიხდით იმ დიდი ამავისათვის, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტია ჩვენთვის ეწეოდათ. ამ სიკეთეს და ამ შრომას, ამავსა დაბათ ვერასოდეს გადაგიხდით“-ო, - შეძლებისდაგვარად ასე მოეფერნენ „ჩინარის“ ხელმძღვანელს გოგონები.

ამ ღამაში შეხვედრის შემდეგ კი ანსამბლ „ჩინარის“ ხელმძღვანელს, ქართული ფოლკლორული სიმღერების გულშემატკივარსა და მომფრთხილებელს, ქნ ნელის ვთხოვეთ საუბარი. საუბარი კი მან იმ მეგობრობასა და სიყვარულზე დაიწყო, რომელიც გარეუღელ „ჩინარელებსა“ და „წინანდლებს“ აკავშირებს:

– ჩვენს მეგობრობას წლების წინ ჩაეყარა საფუძველი. ერთად ბევრ ღონისძიებაში თუ ფესტივალზე მიგვიღია მონაწილეობა. წლების განმავლობაში ბევრი წარმატებაც გვექონია, გატირაგებაც და დიდი სიმღერების წინაშეც ვმდგარვართ, მაგრამ ყველაწლიური პრობლემა სიყვარულ-

მა დაგვაძლევინა. როცა საქართველოში ბევრი სერიოზული და წარმატებული ანსამბლი დაიშალა, ჩვენ შევქვედით რომ დღემდე მყარად ვმდგარიყავით ფეხზე. როგორც გითხარით, ამ ურთიერთობას ქნმა მედეამ ჩაუყარა საფუძველი, ხოლო ამ სიყვარულის და მეგობრობის ხიდს ურყევობას დღემდე ვინარჩუნებთ. ეს დღევანდელმა დღემაც დაგვიდასტურა. დიახ, დღევანდელი დღე ჩვენს მეგობრობას მიუძღვებით და ჩვენს გარეუღელ მეგობრებთან – ჩვენს მსმენელებთან ერთად თელაველი „წინანდლებიც“ შემოვიერთეთ. ანსამბლი „წინანდალი“ მართლაც რომ ამშვენებს და ალაშაზებს ჩვენს ქვეყანას, გულშემატკივრობს ჩვენს ფოლკლორს – ისინი მღერიან კახური სიმღერების საუკეთესო ვარიანტებს. ეს კი ყოფილი ხელმძღვანელის, უნიჭიერესი მუსიკოსისა და და შესანიშნავი ადამიანის, ამ ანსამბლის დამაარსებლის აწ გარდაცვლილ ღვეან აბაშიძის დამსახურებაა, რომელიც სულ ძიებაში, კახური ფოლკლორის მოფერებაში იყო. ანსამბლს თავის ხელწერა აქვს. საუკეთესო დუეტებს ქმნიან დათო და გურამი. მათ თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოიარეს და



ყოველთვის წარმატებულები და ამაყები ბრუნდებიან სახლში. ისინი მართლაც რომ ვალდებულები არიან ქვეყნის წინაშე. დღევანდელ ღონისძიებაზე ჩვენ ერთად ვუმღერეთ სიყვარულს და მეგობრობას – ჩვენც „ჩინარელებმა“, „წინანდლებმაც“ და მოწვეულმა მსმენელმაც. დიახ, სიყვარულს და მეგობრობას, რომელიც აგრეთვე ვვაკლდებთ თანდათანობით.

ესარგებლობ შესაძლებლობით და გაზუთის ფურცლებიდან ანსამბლ „ჩინარის“ სახელით მადლობა მინდა გადაგუხადო საგარეულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ფრიდონ ბურდულას, რომელიც მეგობრულად ამოგვიდგა მხარში და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ღონისძიებას ბოლომდე არ დაკარგოდა თავისი ელფერი. მადლობა ჩვენს მსმენელს და ჩემს საამაყო, ჩემს „ჩინარელებს“, რომლებიც ათეულობით წლებია გვერდში მიდგანან ქართული ფოლკლორული სიმღერების იმ სახით დამუშავებასა და მსმენელამდე მიტანაში, როგორც უბრალო ადამიანებმა შექმნეს საუკუნეების განმავლობაში, რომელიც ხელიხელსაგოგმანებელი მარგალიტებით მოგვიტანეს ჩვენმა წინაპრებმა და ჩვენც ჩვენი ვალდებულება ავიღეთ – შემოვუნახოთ ისინი შთამომავლობას, დაუტკობთ მსმენელს გული...

ღარიბებანი XX საუკუნის პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე

სამტკობაში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი, რომელიც მსოფლიომ გეშმართად დიდ პოლიტიკოსად და საზოგადო მოღვაწედ აღიარა. ამასთან, თავისი ქვეყნის დიდ მოამბედ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ ისრაელის პრეზიდენტი მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჟუს სამძიმრის წერილი გაუგზავნა, სადაც წერს: „იგი იყო მსოფლიოში გამორჩეული პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მშვიდობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი, თავისი ქვეყნის ერთგული და ბრძენი შვილი. ბატონ შიმონ პერესს საქართველოსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. ჩვენ პირადად ვიცნობდით მას და გამოჩნეულ პატივს ვცემდით“.

შიმონ პერესის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მედიასაშუალებებმა მსოფლიოს ხალხებს მისი სიტყვა გააცნეს, რომელიც თითოეული მოქალაქისათვის გზისგამკვლევი უნდა იყოს სამშობლოს სიყვარულისკენ, თავისი ქვეყნის პატრონობისა და მოვლის საქმიანობაში.

ფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ სიტყვის გაცნობა... „პოტენციური ადამიანებს ძალიან დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტა ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გსურთ, უნდა იმუშაოთ – ციდან არაფერი ცვივა. ჩვენ, ისრაელში, ძალიან ბევრს ვიმუშაობდით. რა არის ამაში ცუდი?! არ ვიცი.

ადამიანები შეგებულებაში გადიან – ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. მე 90-ს გადავიცილი და არახდროს ვყოფილვარ შეგებულებაში. შეუხებია: „შენ რა, არანორმალური ხარ? როგორღა იხეხებ?“ მე კი ვამჯობინებ, ვიმუშაო და ამით ვხარობ. პესიმისტებიც ნუ იქნები! ესეც დროის ფუჭი ხარჯვაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დროება იცვლება.

უნდა გაკვეთო მეცნიერებას. მეცნიერებას არა აქვს სახლვარი, შეზღუდვა და არა აქვს რეფლექსები. ნუ ცდილობთ გადაწყვიტოთ წარსულის პრობლემები, რადგან ვუკვობ, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია. წარსული ზოგადად, არანაირ როლს არ თამაშობს. უბრალოდ შეისწავლეთ ის, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ. წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი.

რა გინდათ, რომ გახსოვდეთ? ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა? ისტორიაზე დაუდნობა არ შეიძლება. ისტორიკოსები მეფეების და ხელისუფალთა მაცნებები იყენებ და იმას ამბობდნენ, რაც მათ აწყობდათ.

ადამიანებს ეშინიათ რაღაცის – მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მოგველის. ხანდახან მეკითხებიან: თუ უკან მოიხედავთ, რა იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა?

მე კი ვპასუხობ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დიდი ოცნებები გვექონდა, ახლა კი ვხედავთ, რომ ეს ოცნებები არც ისე დიდი ყოფილა. იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო მეტს მიადევთ ცხოვრებაში.

დღევანდელი ახალი თაობა ბრწყინვალეა, მაგრამ რაც მე მამბაზებს მათში, არის ის, რომ მათ სძულთ პოლიტიკოსები. ისინი ამბობენ: პოლიტიკა კორუპირებულია, ის არაა ჩვენივე. მე ვპასუხობ: გინდათ წესიერი პოლიტიკა? მოდით პოლიტიკაში და თქვენ თვითონ დაამკვიდრეთ წესიერი პოლიტიკა!

ზოგჯერ ადამიანები მეკითხებიან, როგორ უნდა შევინარჩუნოთ აქტიურობა? ეს ძალიან ადვილია – დაიანგარიშეთ გონებაში თქვენი მიღწევები და ოცნებები და თუ ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე მიღწევები, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ, თუ პირიქითაა – ნიშნავს, რომ უკვე მოხუცდით.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანავარძობს უცხადებს საგარეულო მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მთავარ სპეციალისტს ნინო ფირეულაშვილს მამის **მალერიან ფირეულაშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქტორი: **თინათინ ილაური**

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru